

გუჩა კვარაცხელია

მელანქოლიის სემიოტიკა ბარათაშვილთან

„გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ...
ემიებს სადგურს“

ბარათაშვილის მელანქოლია მისი ფილოსოფიის ფარული მხარე და მისი სიყვარულის მუდმივი თანამგზავრია. ფსიქონალიზის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მელანქოლიისადმი მიდრეკილების გარეშე არ არსებობს ფსიქიკა; აღნიშნავენ აგრეთვე, რომ შავი ნაღველი დიდ ადამიანებს ახასიათებთ.

იონა მეუნარგია თავის ნარკვევს – „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ – ასეთნაირად ამთავრებს: „მე რომ დავსწრებოდი იმ რჩევას, საცა გადაწყდა, რა უნდა დაეწერათ ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვაზე, ჰაზრს შევიტანდი, დაეწერათ ჩაილდ-ჰაროლდიდამ სიტყვები: დამარხვის მერეც ჩემს სევდასთან ერთად ვიცხოვრებდიო“ [ბარათაშვილი 2005: 238].

ბარათაშვილის სევდაც, ისევე როგორც ბაირონისა, ე. წ. მსოფლიო სევდის ნაწილია; მათ საერთო გამამჟღავნებელი ნიშნები აქვთ, რომლებიც, აღნიშნული მსგავსების მიუხედავად, მაინც ინდივიდუალურად ქმნიან პოეტთა სემიოტიკურ სისტემებს. შეიძლება სევდამელანქოლია სწორედ ის ერთადერთი რამ იყოს, რაზეც ლექსის წერა ღირს.

მელანქოლია, რომელიც დეპრესიის ფუნდამენტური განწყობილებაა, დეპრესიის მსგავსად, ნეგატიური განცდების სხვადასხვა ფორმითა და კომპონენტით ვლინდება. პოეტის სევდა მისი მეტყველების, მისი კულტურის სარჩულია. ადვილი წარმოსადგენია ამგვარი „კულტურულობის“ მახოხისტური რისკები. ავტორს კი შეუძლია აქედან ამოკრიბოს საზეიმო მომენტები. ემყარება რა საკუთარ ტანჯვას, იგი მანიპულირებს საგნებითა და ნიშნებით.

ამ ნიშანთა მთლიანობაა მთელი სამყარო, რომლის შეცნობას ადამიანი დაბადებისთანავე იწყებს. ამიტომაც ნიშნების ამოცნობა, შესწავლა და შექმნა მთელ მის ცხოვრებას გასდევს.

ნ. ბარათაშვილის სააზროვნო სივრცე დატვირთულია სხვადასხვა სემიოტიკური სამყაროებით, რომელთა დომინანტური ნიშ-

ნებია წუხილი, ტანჯვა, მარტოობა, ნოსტალგიური კავშირი ბავშვობასთან, საკუთარი ხვედრის ძიება, მაღალი საზოგადოების ფუჭი ცხოვრება, ფილოსოფიური განსჯანი, წუთისოფლის ამაოება და წუთისოფლის საზღვრებს იქით გასვლის წადილი, პოეტის პიროვნება, ქალებთან ურთიერთობის წარუმატებლობა, მამის ფაქტორი, ბიძის ფაქტორი.

ძიება ადრეულ ასაკში იწყება ადამიანის მიკროსოციუმიდან – ოჯახიდან და მალევე გადადის საზოგადოებრივი ცხოვრების სამყაროში – ბარათაშვილთან – მაღალი საზოგადოების ასპარეზზე. როგორია ეს სამყარო? უწინარეს ყოვლისა, იგი დატვირთულია ნიშნებით. არ არსებობს ისეთივე სხვა სფერო, რომელიც ამდენ ნიშანს ავრცელებდეს და იტევდეს, ცხადია, ისინი არაერთგვაროვანია. საინტერესოა ჟილ დელიოზის მსჯელობა ამ თემაზე. „მაღალი საზოგადოების ნიშანი წარმოიშობა მოქმედების ან აზრის შემცვლელად. იგი იკავებს მოქმედების ან აზრის ადგილს. ეს ნიშანია, რომელიც არაფრისკენ გვგზავნის და სხვა, ტრანსცენდენტური მნიშვნელობისა ან იდეალური შინაარსისკენ კი არ მიგვმართავს, არამედ თავისი აზრის ცრუ ღირებულებების უზურპაციას ეწევა. ამიტომ მაღალი წრის წევრობა, რომელიც ფასდება რა მოქმედებათა თვალსაზრისით, აღმოჩნდება მაცდური და უმოწყალო, ხოლო აზრის თვალსაზრისით – ბრიყული. მაღალი წრის წარმომადგენლები არ ფიქრობენ და არ მოქმედებენ, არამედ აწარმოებენ ნიშანს“ [დელიოზი 2014: 31].

მაგალითს მოვიყვანოთ ლექსიდან „ღამე ყაბახზედ“, სადაც მოქმედების ან აზრის ადგილს იკავებს უნებლიე „ნიშანი“ –

ამა სიტყვაზედ ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიაგმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა.
ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტება ბროლსა,
რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი – თვალსა.

ყაბახზე თეთრკაბიან ქალთან სასიამოვნო შეხვედრა – „თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა“ – ამაო აღმოჩნდა, ხოლო ეტიკეტით გათვალისწინებული სალონური საუბარი – ცარიელი ნიშანი.

მის ოცნებებს ჯარისკაცობაზე ასრულება არ ეწერა. ელიტური სამხედრო პირების გარემოში გაზრდილი, მაღალი სამხედრო პირების უახლოესი ნათესავი და საყვარელი ადამიანი ყველაზე მეტად სწორედ ამ სფეროში იჩაგრებოდა, თითქოს მისი ჯანმრთელობისთვის შესაფერი სამსახურის გამონახვა შეუძლებელი იყო.

ჭაბუკურ გაწილებას პარალელურად თან ახლდა ბევრი სხვადასხვა ფაქტორი, ტკივილისა და გულგატეხილობის გამომწვევი. ნამდვილი იმედთა გამტყუნების ასპარეზი იყო მაშინდელი მაღალი წრის დამყაყებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების ფუჭი ცხოვრების შესახებ სწერდა იგი თავის სათაყვანებელ ბიძას, გრიგოლ ორბელიანს: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჭირი, ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი. დიდი დამგერებაებია ქალებისა, დიდი აყალმაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის თევები, დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით“ [ბარათაშვილი 2005: 102]; „ტვილისი ისევე ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“ [იქვე: 103].

ყოველივეს ემატებოდა მამის – მელიტონ ბარათაშვილის – ფაქტორი, რომელიც მძიმედ აწვა ოჯახს იმის გამო, რომ იგი მეტისმეტად ანჩხლი და მყვირალა, გულფიცხი, ოჯახის შემაწუხებელი ადამიანი იყო. იგი ცხელ გულზე ფიზიკურადაც შეხებია თავის ვაჟს.

მიუხედავად იმისა, რომ მელიტონი უჯიათი ხასიათისა იყო, იგი დროდადრო საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, ერთხანს, ვიდრე ოჯახს გააკოტრებდა, საკმაოდ ხელგაშლილად ცხოვრობდა. მალე მთელი ქვეყნის ცხოვრებამ რღვევა დაიწყო. როცა სიმონ ჯანაშია იმ ხანას ახასიათებდა, წერდა, რომ „არა ერთი ფეოდალური სახლი, თავისი შეძლებითა და ჩამომავლობით მოქადული, მოიშალა და გადაშენდა. აჩრდილივით გადასულ დიდებულთა ნაოხარზე ახალი ხალხი მოდიოდა და ზღუდემონგრეულ სასახლეებში მკვიდრდებოდა, რადგანაც ნამდვილი მემკვიდრე არსად ჩანდა. ზოგჯერ საგვარეულოს უფროსი შტო უმცროსს უთმობდა თავის ადგილს“ [ბარათაშვილი 2005: 251]. საკმაოდ პირქუში სურათია. ღამის უფლისწულად დაბადებული ბარათაშვილი, მამულებ- და სხვაქონებადაკარგული, უნუგეშო ადამიანად იქცა.

დეპრესიის სახეობაა ნოსტალგიაც, რომელიც სევდა-ნაღვლის ერთ-ერთი საფუძველია: ნოსტალგიური კავშირი დაკარგულ ბავ-

შვობასთან, ნაცნობ ადგილებთან, უკეთეს ცხოვრებასთან არაერთხელ გამოიხატა ბარათაშვილის პოეზიაში:

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?
რად ვცან პირველად წუთისოფელი,
დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, –
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!

ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“, რომელშიც სემიოტიკური თვალსაზრისით რამდენიმე საინტერესო მომენტიცაა, ნათქვამია:

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

დანაკარგებითა და გულისგატეხით არის აღსავსე ნ. ბარათაშვილის სასიყვარულო ამბები ქალებთან. როგორც მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგია გვამცნობს: „პირველი მისი სიყვარული იყო ნ. ო. – ის ქალი, რომელსაც უძღვნა ლექსი: მიყვარს თვალები, მიბნედილები ... მაგრამ მიიღო თუ არა იმან ნაცვალის გრძნობა ამ ქალისაგან, არავინ იცის. მეორე მისი საყვარელი იყო მებუღკე ფრანგის ლაბიელის ქალი დელფინა. ამას უძღვნა ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“, მაგრამ ამ ლექსშიაც უფრო მრისხანებაზე და წყრომაზეა ლაპარაკი, ვიდრე სიყვარულზე. ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრელ აფიცრის დეზებზე“ [ბარათაშვილი 2005: 227].

მუდმივი წარუმატებლობა სიყვარულში, გაუზიარებელი ტკივილი, რომელიც დროდადრო შთანთქავს ადამიანს, ზოგჯერ დიდი ხნითაც, გვაკარგვინებს მეტყველებას (გავიხსენოთ ნესტანის დამუნჯება ტარიელთან შეხვედრისას), მოქმედების უნარს, თვით ცხოვრების გემოს. ეს სასოწარკვეთაა, – წერს კრისტევა, – და არა სიძულვილი, რომელიც გვაფიქრებინებდა, რომ ჩვენ კვლავ შეგვწევს სურვილისა და ქმედების უნარი.

საიდან ამოდის ეს შავი მზე? – განაგრძობს კრისტევა, – რომელი შეშლილი გალაქტიკიდან აღწევს ჩვენამდე ჩუმი მძიმე უხილავი

სხივები, რომლებიც გვაჭედებენ მიწას, საწოლს, გვწირავენ სიმუნჯისა და უარისათვის.

მიღებული სასიყვარულო ტრავმა ან საზოგადოებრივი წარუმატებლობა, რაღაც დარდები ან ნაღველი, რომლებიც ახლობლებთან ჩვენს ურთიერთობას ეხება – ყოველივე ეს გულგატეხილობის მხოლოდ ჩახმახია, რომელიც შემართულია და ნიშანს ელოდება.

ნაცვლად იმისა, რომ სასოწარკვეთის აზრი ვეძიოთ (იგი ან ხილულია, ან მეტაფიზიკური), ვაღიარებთ, რომ აზრი მხოლოდ სასოწარკვეთას აქვს [კრისტევა 2016: 9-11]. ასეთ სასოწარკვეთას ეძლევა ტარიელი, რომელიც „ილიადას“ გმირივით (ბელეროფონტი) „ველად რბის“, გულს დარდით იღრღნის, გაურბის რა კაცის კვალს. იგი განწირულია არა სიგიჟისათვის (თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება „მიჯნური შლეგსა გვიქვიან“), არამედ გაუცხოებისთვის, სიცარიელისთვის ...

მარტოობისა და მიუსაფრობის განცდით გამოწვეული ტანჯვა უნაპიროა. ამით მოგვრილი უნუგეშობა – უკურნებელი.

სემიოლოგია, რომელიც სიმბოლიზმის ნულოვან საფეხურს შეისწავლის, გარდაუვლად მიდის საკითხთან, რომელიც ეხება არა მარტო სიყვარულის მდგომარეობას, არამედ მის „ფერმკრთალ თანამგზავს“ – მელანქოლიას, რათა მაშინვე აღნიშნოს შემდეგი: რომ არ არსებობდეს სასიყვარულო ბარათი (წერილი), ცხადად თუ ფარულად მელანქოლიური წარმოსახვაც არ იარსებებდა (გავიხსენოთ ნესტანის წერილი ტარიელისადმი, მოწერილი ქაჯეთის ციხიდან).

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა უხვად შეიცავს ცნობებს პოეტის სულიერი მდგომარეობის შესახებ. მოვიყვანთ ფრაგმენტს მაიკო ორბელიანისათვის გაგზავნილი წერილიდან: „არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულეხა ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერები-

სა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მი-
იდრიკო თავი?“ [ბარათაშვილი 2005: 107].

ამაზე ზუსტად და ამავე დროს ემოციურად სასოწარკვეთილი
ადამიანის მდგომარეობის წარმოდგენა ძნელია.

სულიერი ობლობის, მიუსაფრობის შავი ნალველი ერთნაირად
გასდევს პოეტის პოეზიასა და წერილებს, თუმცა უკეთესი ხვედრის
ძიება, საკუთარი ადგილის პოვნა ამ წუთისოფელში მისი განუხორ-
ციელებელი ოცნება იყო ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული ბოლო-
მდე. ბარათაშვილი კარგად გრძნობდა თავის მოწოდებას, მან შესა-
ნიშნავად იცოდა თავისი პოეტური და ადამიანური შესაძლებლობე-
ბი, მოსვენებას არ აძლევდა მას ზეგარდმო ნიჭი, ბრწყინვალე და აღ-
მატებული. ამიტომ იყო სევდიანი, შავნალვლიანი. მიუხედავად ყვე-
ლაფრისა, ბარათაშვილს უყვარდა ეს სევდა. ალბათ ადვილადაც ვერ
შეეღეოდა მას. ლამაზი იყო მისი მელანქოლია, ოდნავ ნარცისიზმში
გადასული. გასაოცარი სიტყვებით გამოხატა მან ეს სიყვარული:

ზამთრით ბუნება არა კვდება, – სევდით იმოსვის.

დახვეწილობითა და პოეტური ენის ნოვატორული გამო-
ბრწყინებით შემდეგი სტრიქონები არ ჩამოუვარდებიან წინას, უფრო
მეტეც, მათს სემიოტიკურ სამყაროში მოიაზრებინ:

მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და
უსულთ შორის
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა
მათი საუბრის!

ეს ის ენაა, რომლითაც ბარათაშვილი ზოგად ქემმარტებას
ეძებს, რომელსაც იგი გაჰყავს სხვა სივრცეში, სხვა საუფლოში:

გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება ...

თუმცა ბარათაშვილი ხშირად ახსენებს ამ სოფლის ამაოებას,
მაგრამ დაბეჯითებით იმის თქმა, რომ მისი მსოფლაქმა პესიმის-
ტურია, ძნელია. იგი არც ცხოვრებითა და არც შემოქმედებით არ ყო-
ფილა სწორხაზოვანი, ერთ მხარეს მიმართული. მისი ამბივალენტურ-
ი პიროვნება ერთნაირად მოიცავდა როგორც სევდას, ისე სიხა-
რულს:

აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჰკნობს,
მომულებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკობს.

მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენი ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

უახლოესი ადამიანები ასე ახასიათებდნენ: „მკვირცხლი, ცელ-
ქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, მახვილი ბარათაშვილი
იყო სული და გული ტოლ-ამხანაგებისა. ყველას უყვარდა იგი და
ყველა ერიდებოდა მის მახვილ ენას, მის ეპიგრამებს“ [ბარათაშვილი
2005: 220].

კონსტანტინე მამაცაშვილი, პოეტის თანაკლასელი, ასე იგო-
ნებს მეგობარს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავ-
ლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხი-
არული ხასიათით, სიმარდით. პირველი მოტანცავე იყო საკუთრად
ლექურისა, ყველასგან საყვარელი ამხანაგი“ [ბარათაშვილი 2005:
214]. ბარათაშვილმა ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ბუნება.

საგანგებოდ აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის სიცოცხლისმოყ-
ვარეობა, ტემპერამენტი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ზეგარ-
დმო მომადლებულ მგზნებარე ნიჭს. მისი ცხოვრების წესი, ადამი-
ანური ბუნება გვათქმევინებს, რომ მისი ხასიათი გამოხატავდა ამ-
ქვეყნად მოსვლის სიხარულსა და ამ ქვეყნიდან წასვლის სევდას. მან
მაინც დაძლია მელანქოლია, გაიმარჯვა მასზე, როცა „მერანი“ შექ-
მნა, ჭეშმარიტად გენიალური ნაწარმოები, რომელიც არაჩვეულებ-
რივი სიახლით – თემის, მხატვრული ენის თვალსაზრისით – განუ-
მეორებელია მსოფლიო მასშტაბით.

„არისტოტელეს თანახმად, მელანქოლია დიად ადამიანებს
ახასიათებთ. მელანქოლია, გაწონასწორებული გენით, ხდება „ყო-
ფიერებაში ჩავარდნილი“ ადამიანის შფოთვის ტოლფარდი. მასში
შეიძლება დავინახოთ ჰაიდეგერის წინასწარმეტყველური „აზრის
განგაში“, ასევე, შელინგის „ადამიანური ბუნების არსი“, ნიშანი ადა-
მიანის სიმპათიისა ბუნების მიმართ. ამდენად, ადამიანურობის სი-
ჭარბის გამო, ფილოსოფოსი მელანქოლიკი უნდა იყოს“, – წერს იუ-
ლია კრისტევა [კრისტევა 2016: 13-14].

აღბათ ამითვე აიხსნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსო-
ფიური აზროვნებისკენ მიდრეკილებაცა და მისი მელანქოლიაც.

ლიტერატურა

ბარათაშვილი 2005 – ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული (მოგონებანი, პორტრეტის ისტორია, გენეალოგია), ლ. თაქთაქიშვილის საერთო რედაქციით, გამომცემელი კ. დავითური, თბილისი.

დელოზი 2014 – Жиль Делёз, Марсель Пруст и знаки (Перевод с французского Е. Г. Соколова), Санкт-Петербург, Алетейя.

კრისტევა 2016 – Юлия Кристева, Черное солнце. Депрессия и меланхолия. Москва, «Когито-Центр».

Gucha Kvaratskhelia

Semiotics of Melancholy with Baratashvili

Summary

Baratashvili's melancholy is the hidden side of his philosophy and the constant companion of his love. Specialists of psychoanalysis say that there is no psychic phenomenon without an inclination for melancholy and great people are characterized by great sadness.

Iona Meunargia ends his essay "Life and Poetry of Nikoloz Baratashvili" with these words: "If I had attended the meeting where they decided what to write on N. Baratashvili's tombstone, I would advise to write the words by Chilled Harold – After funeral I would live with my sadness".

The sadness of Baratashvili as well as of Byron is a part of the so-called the world's sadness. They have common revealing features that despite the similarity, still individually create semiotic systems of the poets. It may be possible that melancholy is the only thing that is worth writing poetry about.

Melancholy that is the fundamental mood of depression is expressed by different forms and components of negative feelings. The poet's sadness

is the basis of his speech, his culture. It is easy to imagine the masochistic risks of such a culture. The author can collect the festive moments from it. Based on his own suffering, he manipulates with subjects and signs.

The whole universe is the integrity of these signs and a man tries to perceive it since his birth. That is why perceiving, studying and creating these signs last throughout his whole life.

N. Baratashvili's intellectual space is full of different semiotic worlds that we have presented in the paper as completely as possible. Here we can name some of them according to the dominant signs: anxiety; suffering; loneliness; nostalgic connection with his childhood; search for his own fate; unavailing life of the high society; philosophical judgment; the vanity of the world and the desire to go beyond the borders of the earthly life; the personality of the poet; failure of relationships with women; the father's factor; the uncle's factor.

I. Kristeva says "According to Aristotle great people are characterized by melancholy. Melancholy with a poised genius becomes equal to the anxiety of a man "being in entity". In it we can see Heidegger's prophetic "alert of thoughts" and Schelling's "essence of human nature", a sign of human sympathy for the nature. Thus, because of excess of humanity, a philosopher should be melancholic".

Perhaps all these explain Nikoloz Baratashvili's inclination for philosophical thinking.